**პრეზიდენტი**
**დიტერ ფ. უხთდორფი**
პირველ პრეზიდენტთა
მეორე მრჩეველი

# რისთვის გვჭირდება წინასწარმეტყველები?

რადგან მამაზეციერს უყვარს თავისი შვილები, მას ისინი არ მიუტოვებია ამ მიწიერ ცხოვრებაში, თავისი რჩევა-დარიგებების გარეშე. მამაზეციერის სწავლებანი არ გახლავთ, არც მარტივი და არც ჩვეულებრივი, და არც ისეთი რამ, რისი შეძენაც ადგილობრივ წიგნების მაღაზიებშია შესაძლებელი. ეს ყოვლისმცოდნე, ყოვლისშემძლე ზეციური არსების სიბრძნეს წარმოადგენს, იმ არსების, რომელსაც უყვარს თავისი შვილები. მის სიტყვებში დაფარულია ყველა დროის ამ და იმ ქვეყნიური ბედნიერების გასაღები.

მამაზეციერი, თავისი მსახურების, წინასწარმეტყველების მეშვეობით, უმხელს თავის სიბრძნეს დედამიწაზე მცხოვრებ შვილებს (იხ. ამოსი 3:7). ადამიდან დაწყებული, ღმერთი ყოველთვის ესაუბრებოდა თავის შვილებს მის მიერ რჩეულ გულთმისნების მეშვეობით, რომლებსაც ეკისრებოდათ სხვებისთვის ღვთის ნებისა და რჩევადა-რიგების გამხელა. წინასწარმეტყველები შთაგონებული მასწავლებლები არიან და მუდამ წარმოადგენენ იესო ქრისტეს რჩეულ მოწმეებს (იხილეთ მოძღვრება და აღთქმები 107:23). წინასწარმეტყველები ესაუბრებიან არა მარტო თავისი ეპოქის წარმომადგენელთ, არამედ ყველა დროის ადამიანებს. მათი ხმა საუკუნეების მანძილზე ექოსავით ვრცელდება მამაზეციერის მიერ თავისი შვილების მიმართ მისი ნების დასამოწმებლად.

უფალს დღესაც ისე უყვარს თავისი ხალხი, როგორც წარსულში. იესო ქრისტეს ეკლესიის აღდგენის ერთ-ერთი შესანიშნავი გზავნილია ის, რომ ღმერთი ახლაც მიმართავს თავის შვილებს. ის ზეცაში კი არ იმალება, არამედ დღესაც, როგორც საუკუნეების წინ, ესაუბრება მათ.

ის, რასაც უფალი უმხელს თავის წინასწარმეტყველებს, მეტ წილად გამიზნულია იმისათვის, რომ არ დაუშვას არც თითოეული ადამიანის, და არც საზოგადოების ცხოვრებაში წუხილი. ღმერთი, როცა არ უნდა გვესაუბრებოდეს, აკეთებს ამას ჩვენი განსწავლის, განწმენდის, გაფრთხილების და სულის ამაღლების მიზნით. როცა ცალკეული ადამიანები და მთელი საზოგადოება ახდენენ მამაზეციერის რჩევა-დარიგებების იგნორირებას, ისინი ტანჯვის და სირთულეების მახეში ებმევიან.

ღმერთს ყოველი თავისი შვილი უყვარს, აი რატომ მოგვმართავს ის ასე დაჟინებით წინასწარმეტყველთა საშუალებით. ზუსტად

ისე, როგორც ჩვენ ყველაფერს საუკეთესოს ვუსურვებთ საყვარელ ადამიანებს, მამაზეციერსაც ჩვენთვის ყოველივე სიკითე სურს. აი რატომ არის მისი დარიგებანი სასიცოცხლოდ ასე მნიშვნელოვანი და ზოგჯერ გადაუდებელიც კი. აი რატომ არ მიუტოვებივართ მას დღეასაც და გვამცნობს თავის ნებას წინასწარმეტყველთა მეშვეობით. როგორც ჩვენი, ასევე მთელი მსოფლიოს ბედი დამოკიდებულია იმაზე, მივიღებთ თუ არა ღმერთის მიერ წარმოთქმულ სიტყვებს თავისი შვილების მიმართ.

ღვთის შეუფასებელი რჩევა-დარიგებანი კაცობრიობის მიმართ თავმოყრილია ბიბლიაში, მორმონის წიგნში, მოძღვრება და აღთქმებში და ძვირფას მარგალიტში. ამის გარდა უფალი გვესაუბრება თავისი მსახურების, წინასწარმეტყველების მეშვეობით და იგი კვლავაც მოგვმართავს ჩვენ შემდგომ გენერალურ კონფერენციაზე.

ყოველ ადამიანს, ვისაც ეჭვი ეპარება იმაში, რომ ეს შესაძლებელია, ვისაც დაებადება შეკითხვა: „რამდენად რეალურია ის, რომ ღმერთი დღესაც გვესაუბრება?“, მთელი სულითა და გულით გიწვევთ: „წამოდით და ნახეთ“ (იოანე 1:46). წაიკითხეთ ღმერთის სიტყვა წმინდა წერილებში. მოუსმინეთ გენერალურ კონფერენციას სურვილით გაიგონოთ ღმერთის სიტყვა, რომელსაც მისი თანამედროვე წინასწარმეტყველები გადმოგვცემენ. მოდით, მოისმინეთ და იხილეთ გულით, რამეთუ თუ თქვენ ეძებთ სუფთა გულით, წრფელი განზრახვით და ქრისტეს მიმართ რწმენით, ღმერთი სული წმინდის ძალით გაგიმხელთ ჭეშმარიტებას“ (მორონი 10:4). ზუსტად ამ ძალის მეშვეობით მე ვიცი, რომ იესო ქრისტე ცოცხალია და თავის ეკლესიას უდგას სათავეში თანამედროვე წინასწარმეტყველის, პრეზიდენტ თომას ს. მონსონის სახით.

დებო და ძმებო, ღმერთი დღესაც მოგვმართავს. მას სურს, რომ მისმა შვილებმა მოისმინონ და გაიგონონ მისი ხმა. თუ ასე მოვიქცევით, უფალი დაგვლოცავს და გაგვაძლიერებს ამქვეყნიურ და იმ ქვეყნიურ ცხოვრებაში.

## ახალგაზრდები

### მათ, ვისაც წინ ცოცხალი წინასწარმეტყველი მიუძღვება

**ქრისტი რიპას მიერ**

პირველად 16 წლის ასაკში მომეცა საშუალება დავსწრებოდი გენერალურ კონფერენციას. ჩემი ოჯახი აშშ-ში, დასავლეთ ორეგონში ცხოვრობდა, ამიტომ ჩვენ იუტაში, კონფერენციაზე მანქანით გავემგზავრეთ, გზად ჩემი უფროსი ძმა მისიონერთა მომზადების ცენტრში უნდა მიგვეყვანა.

მე კონფერენციაზე მივედი ერთი სურვილით– დავემოძღვრე სული წმინდას. ეს ასეც იყო, მოხდა სული წმინდის გამოვლინება. ეს ასე არ იქნებოდა, რომ არა ჩემი წინასწარ მომზადება.

კონფერენციაზე ერთ-ერთი სესიის დროს ყველა ფეხზე ადგა. დარბაზში მყოფი ადამიანები "Guide Us, O Thou Great Jehovah" ჰიმნს მღეროდნენ. როდესაც ვმღეროდით, ძლიერი შინაგანი სურვილი გამიჩნდა ირგვლივ მიმომეხედა. ასეც მოვიქეცი და გაოგნებულიც დავრჩი. მე გამაოცა ამ ათასობით ადამიანის ერთობამ, რომლებიც შეიკრიბნენ და ერთ ხმად ადიდებდნენ ღმერთს.

შემდეგ სული წმინდის კარნახით პრეზიდენტ თომას ს.მონსონს შევხედე. ეს განცდა იმას ჰგავდა, რაც ნეფიმ განიცადა, როდესაც სიცოცხლის ხე იხილა. სული წმინდამ მიკარნახა: ,,შეხედე" (იხილეთ 1 ნეფი 11–14). იმ მომენტში ვიგრძენი, რომ ეს ერთიანობა ეკლესიაში არსებობდა იმიტომ, რომ ჩვენ წინ ცოცხალი წინასწარმეტყველი მიგვიძღვება . სული წმინდის დამოწმების წყალობით მე ვიცი, რომ პრეზიდენტი მონსონი ჩვენი დროის ჭეშმარიტი წინასწარმეტყველია, და მე ისიც ვიცი, რომ იესო ქრისტე მისი მეშვეობით ხელმძღვანელობს ეკლესიას.

© 2012 Intellectual Reserve, Inc-ის მიერ. ყველა უფლება დაცულია. დაბეჭდილია გერმანია-ში. ინგლისურად დამტკიცებულია: 6/11. თარგმანი დამტკიცებულია: 6/11. თარგმანი *First Presidency Message, March 2012*. Georgian. 10363 131

# ჩემი სასუფევლის ქალიშვილები

*შეისწავლეთ ეს მასალა და საჭიროებისამებრ განიხილეთ ის დებთან, ვისაც სტუმრობთ. დაუსვით შეკითხვები, რათა შეძლოთ თქვენი დების განმტკიცება და ასევე იმისათვის, რომ მოწყალების საზოგადოება გახდეს თქვენი ცხოვრების აქტიური ნაწილი.*

**რწმენა, ოჯახი, მოწყალება**

ჩვენ მამაზეციერის ქალიშვილები ვართ. ის გვიცნობს, ჩვენ მას ვუყვარვართ, და მას აქვს ჩვენთვის გეგმა. ამ გეგმის ნაწილია ჩვენი დედამიწაზე მოსვლა და არჩევანის გაკეთება სიკეთეზე და არა ბოროტებაზე. როდესაც ჩვენ ვაკეთებთ არჩევანს ვიცხოვროთ ღვთის მცნებების შესაბამისად, ამით გამოვხატავთ ღვთის მიმართ პატივისცემას და ვაღიარებთ იმ ფაქტს, რომ ვართ მამაზეციერის ქალიშვილები. მოწყალების საზოგადოება გვეხმარება ყოველთვის გვახსოვდეს ეს ღვთაებრივი მემკვიდრეობა.

მოწყალების საზოგადოება და მისი არსებობის ისტორია ძალას გვმატებს და გვერდში გვიდგას. ჯული ბ. ბექი, მოწყალების საზოგადოების გენერალური პრეზიდენტი, ამბობს: „თქვენ, როგორც მამაზეციერის ქალიშვილები, ქალური ბუნებითა და მოვალეობებით, ემზადებით მარადიული ვალდებულებებისათვის. ოჯახის, საზოგადოების, ამ ეკლესიის და ფასდაუდებელი ხსნის გეგმის წარმატება დამოკიდებულია თქვენს ერთგულებაზე. . . (ჩვენმა ზეციერმა მამამ) განიზრახა მოწყალების საზოგადოების შექმნა თავისი ხალხის გასაძლიერებლად და სატაძრო ლოცვა-კურთხევის მისაღებად. მან დააარსა მოწყალების საზოგადოება, რათა მის ქალიშვილებს აქტიური მონაწილეობა მიეღოთ ღვთის სასუფევლის აშენების საქმეში და სიონის ოჯახების გაძლიერებაში.”[1]

მამაზეციერმა თავისი სასუფევლის ასაშენებლად განსაკუთრებული დავალება მოგვცა. მან ასევე დაგვლოცა სულიერი ძღვენით, რომელიც ამ სამუშაოს შესასრულებლად გვჭირდება. მოწყალების საზოგადოების მეშვეობით, ჩვენ შეგვიძლია გამოვიყენოთ ეს ნობათი ოჯახების განმტკიცებისათვის, გაჭირვებულთა დასახმარებლად და იმისთვის, რომ ვისწავლოთ, როგორ გავხდეთ იესო ქრისტეს მოწაფენი.

პირველ პრეზიდენტთა მეორე მრჩეველმა, დიტერ უქტდორფმა, ასე მოიხსენია მოწაფეობა: „მოწაფეობის გზაზე მოთმინებით სიარულით, ჩვენ ვუჩვენებთ საკუთარ თავს, ჩვენი რწმენის ხარისხს და მზადყოფნას მივანიჭოთ უპირატესობა, ღვთის ნებას.“[2]

მოდით ნუ დავივიწყებთ, რომ ჩვენ ღვთის ქალიშვილები ვართ და ვეცადოთ ვიცხოვროთ ისე, როგორც მის მოწაფეებს შეეფერება. თუ ასე ვიცხოვრებთ, ჩვენ დავეხმარებით ღმერთს დედამიწაზე მისი სასუფევლის აშენების საქმეში და ღირსნი გავხდებით მის გვერდით ცხოვრებისა.

### *ჩვენი ისტორიიდან*

1842წ. 28 აპრილს, წინასწარმეტყველმა იოსებ სმითმა მიმართა მოწყალების საზოგადოების დებს: „თქვენ ამჟამად იმყოფებით იმ მდგომარეობაში, როცა შეგიძლიათ იმოქმედოთ იმ ბუნებრივი სათნოების შესაბამისად, რომლითაც ასე უხვად დაგაჯილდოვათ ღმერთმა. . .თუ თქვენ იცხოვრებთ ამ უპირატესობის გათვალისწინებით, თვით ანგელოზები დაგიდგებიან გვერდში.“[3]

მოწყალების საზოგადოების მესამე გენერალურმა პრეზიდენტმა, ზინა დ. ჰ. იანგმა, აღნიშნა მოწყალების საზოგადოების ძალა ადამიანებისთვის მსახურებისა და მათი რწმენის გაძლიერების საქმეში. მან დებს 1893წ. ასეთი დაპირება მისცა: „თუ გულის სიღრმეში ჩაიხედავთ, სული წმინდის დახმარებით აღმოაჩენთ ძვირფას მარგალიტს, როგორც ამ საქმის დამოწმებას.“[4]

**მენიმვნები**

1. ჯული ბ. ბექი “‘Daughters in My Kingdom’: The History and Work of Relief Society,” *Liahona,* ნოემბერი 2010, 112, 114.
2. დიტერ ფ. უხტდორფი, “The Way of the Disciple,” *Liahona,* მაისი 2009, 76.3. იოსებ სმითი, *History of the Church,* 4:605.
4. ზინა დ. ჰ.იანგი “How I Gained My Testimony of the Truth,” *Young Woman's Journal,* აპრილი 1893, 319.

### *წმინდა წერილებიდან*

ზაქარია 2:10; მოძღვრება და აღთქმები 25:1, 10, 16; 138:38–39, 56; “ოჯახი: მოწოდება მსოფლიოს” (*Liahona* და *Ensign,* ნოემბერი 2010, 129)

### *რა შემიძლია გავაკეთო?*

**1.** როგორ შემიძლია დავეხმარო დებს, მათი ღვთაებრივ პოტენციალის მოპოვებაში?

**2.** როგორ შემიძლია მოვარგო საკუთარ ცხოვრებას მოძღვრება და აღთქმებში 25 მოცემული რჩევა და გაფრთხილება?

დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ ვებგვერდი www.reliefsociety.lds.org.

© 2012 Intellectual Reserve, Inc.-ის მიერ. ყველა უფლება დაცულია. დაბეჭდილია გერმანიაში. ინგლისურად დამტკიცებულია: 6/11. თარგმანი დამტკიცებულია: 6/11. თარგმანი *Visiting Teaching Message, March 2012.* Georgian. 10363 131